სტუდენტის შეფასების წესი

სტუდენტს, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ვადებში ვერ მოიპოვა შესაბამისი აკადემიური ხარისხი, უფლება ეძლევა თვითდაფინანსების გზით დაასრულოს საგანმანათლებლო პროგრამა მომდევნო სემესტრების განმავლობაში;

პირველი ორი დამატებითი სემესტრის სტუდენტს სწავლის საფასური განესაზღვრება დეკანის წარდგინების საფუძველზე შესასწავლი სასწავლო კურსის/კურსების კრედიტების შესაბამისად, ხოლო მომდევნო დამატებით სემესტრებში სტუდენტი იხდის მიმდინარე სემესტრში არსებულ სემესტრულ გადასახადს;

საგანმანათლებლო პროგრამებზე კრედიტის ღირებულება შეადგენს 40 ლარს.

სწავლის საფასური

სწავლის საფასური განისაზღვრება სემესტრული გადასახადით და ყველა საგანმანათლებლო პროგრამაზე შეადგენს 1125 ლარს; ნაწილობრივი დაფინანსების მქონე სტუდენტმა სახელმწიფო დაფინანსებასა და სწავლის რეალურ საფასურს შორის სხვაობა უნდა დაფაროს ადმინისტრაციული რეგისტრაციისთვის დადგენილ ვადებში;

სტატუსშეჩერებული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში სწავლის საფასური განისაზღვრება თსუ-სა და სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დადგენილი ტარიფით.

გამოცდები

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება არანაკლებ 51 ქულისა;

სტუდენტის გამოცდაზე ჩაჭრის საფუძველია:

ა) გამოცდის მიმდინარეობისას სტუდენტის მოქმედება, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის გამოცდების ჩატარების ინსტრუქციასა და თსუ-ს ეთიკის კოდექსთან;

ბ)დასკვნით გამოცდაზე დადგენილ ქულათა 50%-ზე ნაკლების მიღება;

41–50 ქულის შეფასების პირობებში ან/და ძირითად გამოცდაზე ჩაჭრილ სტუდენტს, რომელსაც დაგროვილი აქვს არანაკლებ 41 ქულისა, ავტომატურად ეძლევა შესაბამის დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება;

თუ მიღებულ ქულათა ჯამი 41 ქულაზე ნაკლებია, სტუდენტი ვალდებულია განმეორებით მოისმინოს სასწავლო კურსი;

სტუდენტი დამატებით გამოცდაზე დაიშვება მიმდინარე სემესტრის საგამოცდო პერიოდში, რექტორის ბრძანებით დამატებითი გამოცდებისათვის დადგენილ ვადებში;

ძირითად და დამატებით გამოცდებზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში სტუდენტისათვის საგამოცდო პერიოდის გასვლის შემდეგ გამოცდის ინდივიდუალური წესით დანიშვნა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როცა ძირითად და დამატებით გამოცდებზე გამოუცხადებლობის მიზეზს წარმოადგენს სახელმწიფო ან უნივერსიტეტის ინტერესი, ან როდესაც დასტურდება გამოცდაზე გამოცხადების ფიზიკური შეუძლებლობა. გადაწყვეტილებას საგამოცდო პერიოდის გასვლის შემდეგ გამოცდის ინდივიდუალური წესით დანიშვნის თაობაზე დეკანის წარდგინების საფუძველზე იღებს უნივერსიტეტის რექტორი.

დამატებითი სემესტრი

- დასკვნითი და შესაბამისი დამატებითი გამოცდის ჩატარების ფორმაა წერითი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს, ასეთ შემთხვევაში გამოცდა ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ თითოეულ კომპონენტში სტუდენტი მიიღებს ამ კომპონენტისათვის (წერა/ზეპირი) დადგენილ ქულათა არანაკლებ 50%-ს
- სტუდენტის მიღწევების შეფასების სისტემა:
  - (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
  - (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81- 90%;
  - (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71- 80%;
  - (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
  - (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51- 60%;
  - (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
  - (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
- თუ სასწავლო კურსის შეფასებას ახდენს რამდენიმე გამომცდელი, საბოლოო შეფასება გამოითვლება მიღებულ ქულათა საშუალო არითმეტიკულით.

აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭება

- საუნივერსიტეტო განათლების ცალკეული საფეხურის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია. აკადემიურ ხარისხს/კვალიფიკაციას დადგენილი წესის თანახმად ანიჭებს შესაბამისი ფაკულტეტი.

დიპლომი/მოწმობა

- აკადემიურ ხარისხს/კვალიფიკაციას ადასტურებს უნივერსიტეტის რექტორისა და ფაკულტეტის დეკანის მიერ ხელმოწერილი და უნივერსიტეტის ბეჭდით დამოწმებული დიპლომი, სტანდარტული დანართითურთ;
- პირს, რომელმაც არ ან ვერ დაასრულა შესაბამისი საგანმანათლებლო საფეხური, ეძლევა სათანადო მოწმობა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბაკალავრიატის ბზამფვლევი
2013-2014 სასწავლო წელი

ბაკალავრიატი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატი არის აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობის საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია პირის მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის და მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის ფორმირება

- საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტს შეუძლია ძირითადი სპეციალობისა (არანაკლებ 120 კრედიტი) და დამატებითი სპეციალობის (სასურველია 60 კრედიტი) კომბინირება შემდეგი სახით:
  ა) ძირითადი სპეციალობა და თავისუფალი კომპონენტები;
  ბ) ძირითადი სპეციალობა, დამატებითი სპეციალობა და თავისუფალი კომპონენტები;
  გ) ძირითადი და ორი დამატებითი სპეციალობა.
- რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის (სამართალ-მცოდნეობა, დიპლომირებული მედიკოსი/სტომატოლოგი) არანაკლებ 75% ეთმობა რეგულირებადი პროფესიისათვის აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავებას.

სტუდენტის დატვირთვა და სემესტრები

- კრედიტი - ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას, რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ;
- სასწავლო წელი შედგება შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებისგან;

- ბაკალავრიატის საფეხურზე სტუდენტის დატვირთვა 8 სემესტრის განმავლობაში შეადგენს არანაკლებ 240 კრედიტს;
- დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის დატვირთვა 12/10 სემესტრის განმავლობაში შეადგენს არანაკლებ 360/300 კრედიტს;
- პროფესიულ პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტის დატვირთვა შეადგენს 2/3/4 სემესტრის განმავლობაში არანაკლებ 60/90/120 კრედიტს;
- სტუდენტის დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში მოიცავს საშუალოდ 65 კრედიტს (სემესტრში 30-35 კრედიტი);
- დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტს კრედიტების შესაბამისი რაოდენობის შესასრულებლად უფლება ეძლევა აირჩიოს საგნები არაუმეტეს 40 კრედიტისა.

ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია

- სტუდენტის მიერ ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა გულისხმობს სწავლის საფასურის სრულ ან ნაწილობრივ გადახდას თსუ–ში დადგენილი წესების დაცვით. ადმინისტრაციული რეგისტრაცია არის აკადემიური რეგისტრაციის გავლის წინაპირობა.
- აკადემიური რეგისტრაცია გულისხმობს სასწავლო კურსებზე დარეგისტრირებას სასწავლო პროცესის მართვის სისტემის საშუალებით;
- სტუდენტს უფლება აქვს სასწავლო პროცესის დაწყებიდან არაუმეტეს 2 კვირის ვადაში მოითხოვოს ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუქმება. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ იგი კარგავს გადახდილი თანხის დაბრუნების, ან მისი მომდევნო სემესტრებში გამოყენების მოთხოვნის უფლებას;
- სასწავლო კურსის შეცვლა ან გაუქმება დასაშვებია სასწავლო პროცესის დაწყებიდან 1 კვირის ვადაში.

სასწავლო პროცესის მართვის სისტემა

- სტუდენტს, რომელიც დაშვებულია სისტემაში, ინტერნეტის ქსელში ჩართული ნებისმიერი კომპიუტერიდან შეუძლია შესვლა თსუ-ს ინტერნეტ გვერდზე http://sms.tsu.ge საკუთარი სახელის, გვარისა და პაროლის მითითებით.
- სტუდენტს თავისი პროფილის პაროლი ენიჭება პირველკურსელთა რეგისტრაციისას.
- პაროლის აღსადგენად სტუდენტს შეუძლია მიმართოს ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს.
- სტუდენტმა სასწავლო პროცესის მართვის სისტემის საშუალებით შეიძლება მიიღოს შემდეგი სახის მომსახურება:

ა) განაცხადის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმირება;
ბ) სასწავლო ბარათში ნახოს მის მიერ არჩეული საგნები, მიღებული შეფასებები და მინიჭებული კრედიტები;
გ) გაეცნოს ფაკულტეტზე არსებულ სპეციალობათა ნუსხას, მოკლე ინფორმაციას თითოეული სპეციალობის შესახებ და შესაბამისი სასწავლო კურსების ჩამონათვალს, სილაბუსებს, სასწავლო და საგამოცდო ცხრილებს.
დ) გამოცდებთან დაკავშირებულ საკითხებზე აწარმოოს მიმოწერა საგამოცდო ცენტრთან.
ე) შეცვალოს ძირითადი და დამატებითი სპეციალობები (გამონაკლისია ე.წ რეგულირებადი დარგები, რომლებიც ძირითადი და დამატებითი სპეციალობების კომბინირების საშუალებას არ იძლევა).

შიდა მობილობა

- თსუ-ს სტუდენტი უფლებამოსილია შიდა მობილობით შეიცვალოს საგანმანათლებლო ერთეული/პროგრამა;
- შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება აქვს სტუდენტს იმ შემთხვევაშიც, როცა მას შიდა მობილობის გამოცხადების მომენტისათვის შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი;
- შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლების შეზღუდვა:
- შიდა მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში.
- შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი სემესტრის შემდეგ. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაში პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი;
- საგანმანათლებლო ერთეულის/პროგრამის შეცვლის უფლებას მოიპოვებენ ვაკანტური ადგილების შესაბამისი რაოდენობის სტუდენტები, რომელთა ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგები აღემატება მობილობის სხვა მსურველთა შესაბამის შედეგებს.

სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლები

- სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლებია:
  ა)ადმინისტრაციული ან აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობა;
  ბ)ავადმყოფობა, თუ დოკუმენტურად დასტურდება სასწავლო პროცესში სტუდენტის ჩართვის შეუძლებლობა;
  გ)უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა;
  "ბ" და "გ" პუნქტით განსაზღვრული საფუძვლით სტუდენტის სტატუსის შეჩერების მოთხოვნით სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს თსუ-ს რექტორს სასწავლო პროცესის დაწყებიდან 5 კვირის განმავლობაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ იგი კარგავს სტატუსის შეჩერების და სწავლის საფასურის მომდევნო სემესტრებში გამოყენების უფლებას;
- სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა 5 წელი.

სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლები

- **სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:**

ა) პირადი განცხადება;
ბ) სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება მოცემულ საფეხურზე;
გ) სტუდენტის სტატუსის შეჩერება 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში;
დ) ერთი და იმავე სავალდებულო სასწავლო კურსის სამჯერ მოსმენა და კრედიტის ვერმიღება;
ე) თსუ-ს ეთიკის კოდექსით, შინაგანაწესითა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით გათვალისწინებული სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელება, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე;
ვ) გარდაცვალება.

- სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან ერთი წლის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია, ისარგებლოს მობილობის უფლებით;
- სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები

- **თსუ-ს სტუდენტს უფლება აქვს:**

ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება და მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო კვლევაში;
ბ) ისარგებლოს თსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
გ) მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია თსუ-ში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების თაობაზე და მოითხოვოს სასწავლო კურსების სილაბუსები;
დ) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს საგამოცდო შედეგი;
ე) მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია უფლებამოსილი პირისაგან საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო კურსების, გამოცდების ჩატარების ვადებისა და ფორმატის, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის თაობაზე;
ვ) პერიოდულად მოახდინოს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მუშაობის შეფასება;
ზ) საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ ძირითად ვადებში შეფასების გაუმჯობესების მიზნით სემესტრულ სამუშაო ნორმად დადგენილი კრედიტების ფარგლებში განმეორებით მოისმინოს სასწავლო კურსი. ამ შემთხვევაში სტუდენტს სასწავლო კურსის შეფასებად უფიქსირდება უკეთესი შედეგი;
თ) სასწავლო პროცესის დაწყებიდან ერთი კვირის განმავლობაში ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურისათვის მიმართვის საფუძველზე შეიცვალოს ან გაიუქმოს დამატებითი სპეციალობა.

თსუ-ს სტუდენტი ვალდებულია:

ა) რეგულარულად ეცნობოდეს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ თსუ-ს ადმინისტრაციულ აქტებს;
ბ) გონივრულ ვადაში აცნობოს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტს სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში არსებულ ანკეტაში მითითებული ინფორმაციის ცვლილების თაობაზე;
გ) არაუგვიანეს მეორე სემესტრისა დაარეგისტრიროს დამატებითი სპეციალობა;